



გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 119

2020 წლის 11 სექტემბერი
ქ.გორი


გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების 2019 წლის სექტემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების 2019 წლის სექტემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების 2019 წლის სექტემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის მერია

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის

შიდა აუდიტის განყოფილების

2019 წლის სექტემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე

წლიური საქმიანობის ანგარიში

გორი

31.08.2020 წელი

საფუძველი:

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების მიერ 2019 წლის სექტემბრის თვიდან მიმდინარე სამუშაო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების და საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

შიდა აუდიტის განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის #17 დადგენილებით დამტკიცებულ „გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულებით“ და სხვა სამართლებრივი აქტებით.

განყოფილების საშტატო რიცხოვნობა შეადგენს 5 ერთეულს: განყოფილების უფროსი და ოთხი სპეციალისტი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში განყოფილების მიერ საქმიანობა განხორციელდა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და არსებული სტანდარტების შესაბამისად. იგი ეფუძნებოდა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებულ შიდა აუდიტის სამსახურის, შიდა აუდიტის განყოფილების 2019 და 2020 წლების წლიურ სამუშაო გეგმებს.

მიზანი:

შიდა აუდიტის მიზანია გორის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების :

- საქმიანობის ანალიზი, შეფასება, არსებული მართვისა და კონტროლის მექანიზმების ეკონომიურობის, ეფექტიანობის, მოქმედ სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა,
- რისკის ფაქტორების შეფასება, გამოვლენა/ იდენტიფიკაცია და მართვა.
- რისკების პრევენციის/ აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- რეკომენდაციების შემდგომი მონიტორინგი.

მოკლე მიმოხილვა:

შიდა აუდიტის განყოფილების მიერ, დებულებით გაწერილი მიზნების შესასრულებლად, შემუშავებული იქნა წლის დასაწყისში შედგენილი იქნა ვადებში გაწერილი და ფუნქციურად განაწილებული 2019 და 2020 წლის სამოქმედო გეგმები, რომელიც მოიცავდა 2019 წელს აუდიტის ოთხი ობიექტს - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოთხ ა(ა)იპს, ძირითადად სააგენტოებს. 2020 წლის სამოქმედო გეგმით კი, მერიის ოთხი სტრუქტურული ერთეულის შემოწმებას.

სამოქმედო გეგმას წარდგენილი იქნა გორის მუნიციპალიტეტის მერთან შესათხმებლად, რომელიც მოიცავს:

1. შიდა აუდიტორულ შემოწმებებს.
2. გაცემული რეკომენდაციების სამოქმედო გეგმის მიხედვით მონიტორინგის განხორციელებას.
3. შიდა აუდიტორულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას. განყოფილების მიერ შემოწმებისას დაგულია შიდა აუდიტის კანონმდებლობით გაწერილი შიდა აუდიტის განხორციელების ყველა პროცედურა.

შიდა აუდიტის განხორციელებამდე, ყველა აუდიტის ობიექტისადმი იქნა გაგზავნილი ინდივიდუალური გეგმა, რომელიც მოიცავდა; აუდიტის სახეს, მასშტაბს, შემოწმების პერიოდს, ვადებს და სხვა საკითხებს, რომელიც აუცილებელია შიდა აუდიტის განხორციელებისათვის.

ყველა ობიექტთან მომზადებული იქნა შიდა აუდიტორული ანგარიშის პროექტი და გადაცემული აუდიტის ობიექტზე განხილვისთვის. აუდიტის ობიექტიდან წერილობით დასაბუთებული არგუმენტირებული მოსაზრებების წარმოდგენის შემდგომ, აუდიტის სუბიექტისა და აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებულია შიდა აუდიტორული ანგარიშის განხილვა და საბოლოოდ შეჯერება. ანგარიშები გაგზავნილია მუნიციპალიტეტის მერთან და აუდიტის ობიექტთან.

საანგარიშო პერიოდში (2019 და 2020 წელი) განყოფილების მიერ მოხდა თითოეული აუდიტის ობიექტისთვის შესაძლო რისკების გამოვლენა და შეფასება. შესწავლილ იქნა:

- ა(ა)იპ-ების სტრუქტურა, მიზნები და ამოცანები, შიდა დოკუმენტაციის გამართულობა, მოხდა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება;
- უფლებამოსილებების და ვალდებულებების გადანაწილება ა(ა)იპის თანამშრომლებს შორის;
- ა(ა)იპების დამტკიცებული გეგმებისა და ფაქტიურად განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისობა და მიზნობრიობა;
- ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების საკითხები
- შრომის ანაზღაურების სისწორე;
- შესყიდვების მდგომარეობა და შესაბამისობა კანონმდებლობასთან;
- აქტივების გამოყენების სისწორე;
- საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის სისწორე;
- მიღებული შემოსავლები;
- ბუღალტრული ბალანსი და ფინანსური ანალიზი.
- დებიტორ-კრედიტორების არსებული მდგომარეობა;
- სუბსიდიის გაანგარიშების სისწორე;
- ხარჯთაღრიცხვის შესრულების ანალიზი;

ყველა ზემოთ აღნიშნულის შემოწმების შემდგომ შემუშავებულია რეკომენდაციები ასახულია აუდიტორული შემოწმების შესაბამისობის და ფინანსურ აუდიტორულ ანგარიშებში.

განხორციელებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში მოხდა შემდეგი ობიექტების შემოწმება, შედეგები ასახულია ანგარიშებში:

- ❖ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სააგენტო.
- ❖ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო.
- ❖ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო.
- ❖ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახური (აუდიტის ობიექტთან შესაბამისი პროექტი).
- ❖ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახური (აუდიტის ობიექტთან შესაბამისი პროექტი).

შემოწმებული ობიექტების მიხედვით გამოვლენილ გარემოებებზე, შიდა აუდიტის განყოფილების მიერ გაცემულია რეკომენდაციები. იხილეთ ცხრილი,

2019-2020 წელს ჩატარებული აუდიტორული შემოწმებები	გაცემული რეკომენდაციები
კეთილმოწყობის სააგენტო	42
კულტურის და ტურიზმის სააგენტო	33
სპორტის სააგენტო	26
ადმინისტრაციის სამსახური	40
ეკონომიკის სამსახური	15

აღნიშნულ ობიექტებში აუდიტი განხორციელდა შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შემდეგი პრინციპების დაცვით: დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, პროფესიონალიზმი, საჯაროობა, გამჭვირვალობა და კანონიერება.

შიდა აუდიტის განყოფილება ცდილობს დაიცვას შიდა აუდიტორული ანგარიშის ხარისხი, მასში გამოვლენილი გარემოებები შესაბამისობაში იყოს აუდიტის ობიექტის საქმიანობასთან.

საქმიანობის შემოწმების პროცესი დაფუძნებული იყო ა(ა)იპ-ის მიერ წარმოდგენილ და არსებულ დოკუმენტაციაზე. განყოფილების თანამშრომლები ჩართულები იყვნენ შიდა აუდიტორულ ანგარიშის მომზადებაში და სრულყოფილ საბოლოო სახემდე ფორმირებაში.

მონაწილეობას იღებდნენ მუნიციპალიტეტისა მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებსა და ღონისძიებებში.

ამავე პერიოდში ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ, ჩატარდა ტრენინგები შიდა აუდიტის თანამშრომლებისათვის. დისტანციურ ტრენინგს დაესწრო განყოფილების სამი თანამშრომელი. ინტენსიური და სასწავლო ტრენინგები აუცილებელია შიდა აუდიტორთა ყოველწლიური პროფესიული ზრდისთვის.

გაცემული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები

- შიდა აუდიტის ობიექტებში შემუშავებული იქნეს სტრატეგიული და წლიური გეგმები. შემუშავების პროცესში ჩაერთოს ყველა თანამშრომელი, რათა ყველამ იცოდეს რა არის სამსახურის გრძელვადიანი პერსპექტივა, წლიური საქმიანობის მიზანი და შედეგი, თითოეულმა თანამშრომელმა მაქსიმალურად გაითავისოს დაკისრებული მოვალეობა და ჩაერთოს მისი შესრულების პროცესში;
- ა(ა)იპ-ის წლიური სამუშაო გეგმა გაიწეროს სრულყოფილად - შეტანილი იქნას ყველა საქმიანობა, ღონისძიება და აქტივობა, რომელსაც ორგანიზაცია ახორციელებს, ასევე მიეთითოს შემსრულებელი, მაკონტროლებელი პირი და მისაღწევი შედეგი, რაც ხელს შეუწყობს მენეჯერს გააკონტროლოს დამტკიცებული გეგმებისა და ფაქტიურად განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობა.
- კანონთან (კანონი „საქმისწარმოების ერთიანი წესის“ შესახებ) შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ორგანიზაციის საქმისწარმოების ყველა დოკუმენტი (მაგ: მოწესრიგებული იქნეს თანამშრომელთა პირადი საქმეები, განხორციელდეს შემოსული/გასული დოკუმენტაციის აღრიცხვა და სისტემურობა). დოკუმენტი გაეცნოს ყველა თანამშრომელს და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.

- კანონთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი შრომითი ხელშეკრულებები.
- შესყიდვების პროცესი განხორციელდეს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.
- ა(ა)იპ-მა ზედმიწევნით დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნები. აგრეთვე ფინანსთა მინისტრის N364 ბრძანების მოთხოვნები - ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ.
- ძირითად საშუალებებზე ინვენტარიზაცია ჩატარდეს 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ის. ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება #439- ის მოთხოვნების შესაბამისად, დამტკიცებული შესაბამისი ფორმით (აწარმოონ საინვენტარიზაციო ბარათები, ინვენტარს მიენიჭოს საინვენტარიზაციო ნომრები).
- ა(ა)იპ-მა თანხების ანაზღაურება მოხდინოს მხოლოდ მოწოდებული მომსახურების შემდეგ და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. ა(ა)იპ-ის მხრიდან არ მოხდეს ხელშეკრულების პირობების დარღვევა.
- დაწესდეს კონტროლი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხების ხარჯვასა და ათვისებაზე. საჭიროების შემთხვევაში დროულად მოხდეს ხარჯთაღრიცხვაში შესაბამისი კორექტირების შეტანა. წლის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა მოხდეს გეგმიურად.
- განახლდეს/ცვლილებები შევიდეს დებულებებში (პროცესში ჩაერთოს ადმინისტრაციისა და შესაბამისი განყოფილების თანამშრომლები). გაწერილი იქნეს სამსახურის ფუნქციები და მოვალეობები იმ მიმართულებით, რომლითაც გაცილებით უფრო მობილური, ეფექტური და შედეგის მომცემი იქნება მომავალში ა(ა)იპ-ის საქმიანობა.
- კანონმდებლობასთან შესაბამისობაში გაიწეროს შინაგანაწესი (მაგ: გათვალისწინებული იქნეს თანამშრომელთა წახალისების წესი და ფორმები, შემუშავებული იქნეს თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესი, თანამშრომლის პირადი საქმის წარმოების წესი);
- ა(ა)იპებმა და მერიის სტრუქტურულმა ერთეულებმა შექმნან საქმიანობისათვის საჭირო და სასარგებლო საინფორმაციო ბაზები, რომლებიც ხელს შეუწყობს და გააუმჯობესებს დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას და ეფექტურს გახდის ორგანიზაციის მუშაობას.
- ა(ა)იპ-ის მენეჯერის მოადგილეებმა საკურატორო სფეროს მიხედვით განსაზღვრონ რისკები და თითოეული თანამშრომლის ჭრილში ჩართონ კონტროლის ზერკეტები, რათა გამოირიცხოს შემსრულებელი თანამშრომლების მხრიდან შესრულებული სამუშაოს უზუსტობა ან გადაცდომა. კონტროლზე და გამოვლენებზე რეაგირებები და პასუხისმგებლობა დაეკისროთ მენეჯერის მოადგილეებს.
- მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავდეს მონიტორინგზე გავსლების გეგმა/გრაფიკი ისე, რომ მთელი წლის განმავლობაში მოხდეს სკოლამდელი საჯარო დაწესებულებების შემოწმება/კონტროლი.

შიდა აუდიტის განყოფილებამ შიდა აუდიტორული შემოწმებების შემდგომ, ჩაატარა მონიტორინგი გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით და გამოიკვეთა შემდეგი. იხილეთ ცხრილი.


2019-2020 წელს ჩატარებული მონიტორინგები	გაცემული რეკომენდაციები	შესრულებული რეკომენდაციები	შეუსრულებელი	ნაწილობრივ შეუსრულებელი
კეთილმოწყობის სააგენტო	42	35	4	3
კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო	33	19	6	8
სპორტის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო	26	18	0	8
სკოლამდელი აღზრდის სააგენტო	24	11	5	8

მონიტორინგით გამოიკვეთა, რომ სააგენტოების მხრიდან შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია 68 %, ნაწილობრივ და შეუსრულებელია 32%. რეკომენდაციის შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ძირითადად პანდემიასთან დაკავშირებით (სააგენტოები არ მუშაობდნენ სრული დატვირთვით). შიდა აუდიტის განყოფილების მიერ წლის ბოლომდე დამატებით გაგრძელება დარჩენილ რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგი.

მიღწეული შედეგი:


- განახლდა და რეალურ საქმიანობასთან თანხვედრაში მოვიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმებული ობიექტების დებულებებ/წესდებები და შინაგანაწესი;
- გამოსწორდა საქმისწარმოების პროცედურებში გამოვლენილი ნაკლოვანებები;
- წესრიგდება თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- გაუმჯობესდა ანგარიშგებისა და შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ა(ა)იპ-ის მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო, გამოვლენილი ხარვეზების შემდგომ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. შესრულებულია გაცემული რეკომენდაციების 68%.
- შიდა აუდიტის განყოფილება მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას, რათა ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და შექმნილი ა(ა)იპ-ის გამართლ ფუნქციონირება - საქმიანობას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, ფინანსების მატერიალური ფასეულობების ხარჯვის და კანონიერების გამოყენებას, მიზნობრიობის დაცვას და ეფექტიანობის გაზრდას.

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი

 /თ. ჯურაბაშვილი/

შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის

შიდა აუდიტის განყოფილების უფროსი

 /თ. ბუჯიაშვილი/